შპს "ILand" -ის გენერალურ დირექტორს

მოქალაქე:

წარმომადგენლის:

განცხადება

გაცნობებთ, რომ მოქ: ლევან ..... მიმართა ჩვენს არასამთავრობო ორგანიზაციას დახმარებისათვის შემდეგი პრობლემით: მან 2013 წლის 19 მარტს თქვენს მაღაზიაში შეიძინა I phone s4 მოდელის ტელეფონი 1000 ლარად (დანართი შეძენის დამადასტურებელი ქვითარი) მაღაზია I Land, მდებარე ქ. თბილისი, არაყიშვილის ქ. 2. როგორც შემდეგ გაირკვა ნივთს აღმოაჩნდა ქარხნული წუნი, კონკრეტულად არ მუშაობდა ეგრედ წოდებული WiFi ანტენა, ბ-ნ ლევანმა რამოდენიმეჯერ მომართა თქვენს მაღაზიას შეკეთების მიზნით, საგარანტიო ფურცლის საფუძველზე, რომლის შინაარსიდან ირკვევა, რომ მყიდველს შეუძლია მიმართოს მაღაზიას ყიდვიდან ცამეტ თვემდე ნივთის შეკეთების უფლებით, ხოლო შვიდ დღემდე ნივთის შეცვლის უფლებით (დანართი საგარანტიო ფურცელი). შეკეთების შემდეგ ტელეფონმა განაგრძო ჩვეულებრივი ფუნქციონირება დროებით.

მომმართველთან გასაუბრებისას გამოირკვა, რომ აღნიშნული ტელეფონის რამოდენიმეჯერ შეკეთების შემდეგ ხარვეზი ვერ აღმოიფხვრა და შეკეთებიდან რამოდენიმე დღეში ისევ იგივე პრობლემით გაფუჭდა. ტელეფონის შეძენიდან დღემდე სამჯერ მოხდა დაზიანების შეკეთება. აქედან გამომდინარე არ გვაქვს იმის გარანტია, რომ კიდევ ერთი შეკეთებისას ტელეფონი გააგრძელებს ნორმალურ ფუნქციონირებას მომავალში და აღარ შეიქმნება იგივე პრობლემა. აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბ-ნ ლევნმა აღნიშნული ტელეფონი იყიდა გამიზნულად, თავისი სამსახურიდან გამომდინარე, რადგან იცოდა მისი შესაძლებლობები, მას ზუსტად ტელეფონის აღნიშნული ხარვეზი უშლის ხელს თავისი სამუშაოს განხორციელებაში. გამოდის, რომ ის რისთვისაც იყიდა ტელეფონი მისთვის ისევ ხელმიუწვდომელია და ხელი ეშლება მას მუშაობაში, ამიტომ გვსურს ტელეფონის ახლით შეცვლა, რადგან მყიდველმა შეძლოს მისი ნორმალური გამოყენება, რისი უფლებაც ნამდვილად აქვს, რადგან მისი მიზეზით არ წარმოშობილა პრობლემა.

სსკ-ის 1009 მუხლის მიხედვით უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა „უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობებში დაზარალებულთან“ ამავე კოდექსის **1010 მუხლის საფუძველზე „პროდუქტი ითვლება უხარისხოდ თუ იგი არ უზრუნველყოფს, იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან“.** ამ ეტაპზე ვინაიდან პროდუქტს აქვს ქარხნული წუნი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მის ნორმალურ ფუნქციონირებას და მისი დაზიანება არაა გამოწვეული მესამე პირის ან გარეშე ძალების მიერ, აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ ტელეფონის ფასს, რომელიც შეადგენს 1 000 (ერთი ათას) ლარს სავსებით შეიძლება ითქვას, რომ ტელეფონის ფასი არ არის პროპორციული ტელეფონის ხარისხთან, დღევადენლი საბაზრო პირობებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, იკვეთება მისი

რეალიზატორის პასუხისმგებლობა, რათა მომხმარებელი არ დარჩეს მოტყუებული, ანუ უხარიხსო და წუნიან პროდუქტში არ გადაიხადოს იგივე ოდენობის თანხა, რომელიც შეესაბამება ხარისხიან და სწორად ფუნქციონალურ ტელეფონს.

სსკ-ის 1015 მუხლის მიხედვით „1009-ე მუხლის I ნაწ-ის მიხედვით მოთხოვლის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა ზიანის ანაძღაურების უფლების მქონემ გაიგო ან უნდა გაეგო ზიანის, ნაკლის ანდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ამავე მუხლის **II ნაწ-ის მიხედვით „1009-ე მუხლის მიხედვით მოთხოვნა ქარწყლდება ათი წლის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა.** აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა უტოვებს დაზარებულს იდავოს კანონის ფარგლებში სამი წლის ფარგლებში, მითუმეტეს, რომ სახეზეა აღნიშნული მობილური ტელეფონის ხარვეზი.

გარდა ამისა ტელეფონს წარმოეშვა წვრილმანი სახის პრობლემები, რომელიც უკავშირდება მის კვების ბლოკს, იგი იმდენად სუსტია, რომ ერთ დღესაც ვერ ძლებს, მიუხედავად იმისა, რომ ტელეფონს საშუალოზე ნაკლები სიმძიმის დატვირთვა აქვს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი ტელეფონებს შეუძლიათ ფუნქციონირება ენერგიის გამოცლამდე ერთი დღე მაინც, ამ ყოველივედან გამომდინარე ირკვევა, რომ ტელეფონს აქვს არაერთი ხარვეზი.

იმედი გვაქვს თქვენს მიერ გამოტანილი იქნება გონივრული გადაწყვეტილება.

გთხოვთ პასუხი გვაცნობოთ კანონით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით: